დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) უფლებამოსილებას, მისი შექმნის, საქმიანობის, საბჭოს მიერ რეკომენდაციათა შემუშავების და მერთან მისი ურთიერთობის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. საბჭოს სტატუსი

საბჭო არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - „მერი“) სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მერის ბრძანებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86[1]-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობისა და მერის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად. საბჭო უშუალოდ ექვემდებარება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

1. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) თანასწორობა;

გ) საჯაროობა;

დ) მიუკერძოებლობა;

ე) კოლეგიურობა;

ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

2. საბჭოს მიზანია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მერის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;

გ) მერის საქმიანობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

დ) მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში.

მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა და მისი ფორმირების წესი

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

2. საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით.

3. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 17 წევრით.

4.საბჭოს ინდივიდუალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

თავი II. საბჭოს უფლებამოსილებები და სტრუქტურა

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) მოისმინოს და განიხილოს ინფორმაცია მერის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბ) მოამზადოს, განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;

დ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის (შემდგომში - „ბიუჯეტი“) პროექტის მომზადების, ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში, განიხილოს ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენამდე და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს მერს;

ვ) განიხილოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები;

ზ) განიხილოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

თ) განიხილოს სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

ი) განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;

კ) განიხილოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებები წარუდგინოს მერს;

ლ) შეისწავლოს მერის კომპეტენციას მიკუთვნებული ცალკეული საკითხები და მერს წარუდგინოს შესაბამისი წინადადებები და მოსაზრებები;

მ) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება (მორიგ და რიგგარეშე) სხდომებს;

ბ) წარმოადგენს საბჭოს და საბჭოს სახელით აწარმოებს მიმოწერას;

გ) დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს;

დ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს.

2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას, მისივე დავალებით, ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ხოლო ასეთი დავალების არარსებობის შემთხვევაში კი - საბჭოს მდივანი ან სხდომაზე არჩეული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 7. საბჭოს მდივანი

1. საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას;

ბ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას და გაფორმებას;

გ) აცნობს სხდომის დღის წესრიგს სხდომაზე დამსწრე წევრებს;

დ) უზრუნველყოფს საბჭოს დასკვნის შედგენას და გაფორმებას;

ე) ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.

2. საბჭოს მდივნის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

3. საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს მდივნის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 8. საბჭოს წევრი

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ბ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მერის ან მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების მიერ გამართულ საჯარო სხდომებში, დებატებში; დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;
გ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
დ) საბჭოს და მერს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;
ე) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.
2. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:
ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
ბ) მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრობის სტატუსის შეწყვეტის განცხადებით;
გ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა;
დ)კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა;
ე) გარდაიცვალა;
ვ) განხორციელდა საბჭოში მისი წარმდგენი იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
ზ) დაიკავა თანამდებობა, რომელიც შეუთავსებელია საბჭოს წევრობასთან.

თავი III. საბჭოს სხდომის მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

მუხლი 10. საბჭოს სხდომის მოწვევა

1. საბჭოს პირველი სხდომის თარიღს ადგენს მერი, საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
2. საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.
3. საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, - საბჭოს წევრი, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. სხდომის მოწვევის შესახებ განცხადება ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. სხდომის მოწვევის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:
ა) სხდომის გამართვის თარიღი, დრო და ადგილი;
ბ) სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების ნუსხა;
გ) სხდომის გამართვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.
5. საბჭოს სხდომის თარიღი, დრო და ადგილი, დღის წესრიგი, სხდომის ოქმი და სხვა კორესპოდენცია პროაქტიულად ქვეყნდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://chokhatauri.gov.ge).
6. საბჭოს სხდომის გამართვის თარიღი, დრო და ადგილი საბჭოს წევრებს ეცნობებათ სხდომამდე არანაკლებ ორი დღით ადრე, ხოლო საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული სხვა მასალები კი - უნდა მიეწოდოთ ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით (სხდომამდე არანაკლებ ორი დღით ადრე).
7. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.

მუხლი 11. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს სხდომას წარმართავს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.
2.მერიის თანამდებობის პირები და მერის უფლებამოსილი წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ სხდომას სათათბირო ხმის უფლებით.
3. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
4. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი.
6. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;
ბ) სხდომის დაწყების და დასრულების დრო;
გ) სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების სია;
დ) სხდომის დღის წესრიგით განსახილველ საკითხთა ნუსხა;
ე) სხდომაზე განხილული საკითხები და კენჭისყრის შედეგები;
ვ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.
7. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არ აქვს.
9. მერი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში, განიხილოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საბჭოს უახლოეს სხდომაზე (სხდომებზე) აცნობოს საბჭოს წევრებს ამ გადაწყვეტილებ(ებ)ის მიმართ მის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგები, თუ რომელი კონკრეტული გადაწყვეტილებ(ებ)ი (რეკომენდაციები) გაითვალისწინა და რა დოზით, ასევე რა ეტაპზეა მათი აღსრულების მიმდინარეობა, ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ ვერ ხერხდება რომელიმე პრობლემური საკითხის მოგვარება, - ამის მიზეზები განუმარტოს საბჭოს წევრებს.

მუხლი 12. საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა და მისი მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობას, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობას, საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://chokhatauri.gov.ge) პროაქტიულად გამოქვეყნებასა და ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხების მეშვეობით გავრცელებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამსახური.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

1. დებულებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საბჭოს თავმჯდომარის, ან/და საბჭოს წევრის ინიციატივის საფუძველზე.
2. დებულებაში ცვლილების /დამატების შეტანა, ხორციელდება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.